საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/24

ქ. ბათუმი 20 თებერვალი, 2020 წ.

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში რიგგარეშე მობილობის ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, ,, ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N06-01/70 დადგენილების, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის დ. ბერიძის 2020 წლის 12 თებერვლის №1-1/18 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის განისაზღვროს რიგგარეშე მობილობის შემდეგი ვადები:**

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2020 წლის 26, 27, 28 თებერვალი, 2 მარტის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2020 წლის 5 მარტი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2020 წლის 6, 9 მარტის ჩათვლით;

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2020 წლის 10 მარტი;

1.2 განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.

3. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

6. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სტუდენტურ პორტალზე განთავსება.

7. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**